

მანია კოპალეიშვილი
ჰაატა ტურავა
ირმა ხარშილაძე
ხათუნა ლორია
თამარ გვარამაძე
თამარ ღვამიჩავა

**ადვინისტრაციული
საპროცესო სამართლის
სახელმძღვანელო**



თბილისი, 2018
გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

ავტორები:

მაია კოპალეიშვილი

სამართლის დოქტორი, პროფესორი
თავი I. 1. ; თავი VI. 2. ; თავი VI. 4.

პაატა ტურავა

სამართლის დოქტორი, პროფესორი
თავი VI. 1. ; თავი VI. 3. ; თავი VI. 6.

ირმა ხარშილაძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი
თავი II. ; თავი IV.

ხათუნა ლორია

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
თავი III. 1.

თამარ გვარამაძე

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
თავი I. 2,3,4,5.; თავი V.

თამარ ღვამიჩავა

სამართლის დოქტორი, ასისტენტი
თავი VII.

© გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. 2018

© მ. კოპალეიშვილი, პ. ტურავა, ი. ხარშილაძე, ხ. ლორია,
თ. გვარამაძე, თ. ღვამიჩავა. 2018



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას №75; 0171

ტელ: (+995 032)238 35 99; (+995)557 51 51 34

ვებ-გვერდი: www.law.ge

ელ-ფოსტა: Info@law.ge

www.facebook.com/PublishingWorldofLawyers

ISBN 978-9941-9561-7-1

შინაარსი

თავი I. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის ზოგადი დებულებები.....	11
1. ადმინისტრაციული პროცესის ცნება	11
2. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები.....	14
2.1. სამართლებრივი სახელმწიფო - კანონის უზენაესობა.....	15
2.2. დემოკრატიული სახელმწიფო.....	16
2.3. ხელისუფლების დანაწილება.....	16
3. ადმინისტრაციული პროცესის პრინციპები	17
3.1. დისპოზიციურობის პრინციპი.....	20
3.2. შეჯიბრებითობა	22
3.3. ინკვიზიციურობის პრინციპი.....	24
3.4. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი.....	28
3.5. პროცესის ზეპირობა და საქმის განხილვის უშუალობა	29
3.6. მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპი.....	31
3.7. პროცესის საქვეყნობა და სამართალწარმოების ენა.....	33
3.8. სასამართლო გადაწყვეტილებათა სავალდებულობა.	34
4. ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ორგანიზაციული მონაცემები	35
5. საჩივარი და სარჩელი სახელმწიფო კონტროლის სისტემაში.....	39
6. საპროცესო ვადები	43
7. პროცესის ხარჯები	48
თავი II. სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა და განსჯადობა.....	53
1. შესავალი.....	53
2. ადმინისტრაციულ პროცესში სასამართლო უწყებრივ ქვემდებარეობასა და სასამართლო განსჯადობასთან დაკავშირებული დავის არსებობის განმაპირობებელი სამართლებრივი გარემოებები	55
3. უწყებრივი ქვემდებარეობის ცნება და არსი.....	60
4. მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეები.....	66
5. ადმინისტრაციული საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვის ან სამოქალაქო საქმის ადმინისტრაციული წესით განხილვის შედეგად საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები.....	70
6. ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც სარჩელის დასაშვებობის წინაპირობა	75

7. განსჯადობა და მისი სახეები	91
7.1. უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის დარღვევის სამართლებრივი შედეგები.....	91
7.2. ტერიტორიული განსჯადობა.....	96
7.3. ინსტანციური განსჯადობა	101
7.4. საგნობრივი განსჯადობა	103
8. ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის გამიჯვნის თეორიები	107
9. დავა განსჯადობის შესახებ ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით საქმის განმხილველ სასამართლოებს შორის.....	120
10. განსჯადობის განსაზღვრის კრიტერიუმები	124
11. საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებს შორის ქვემდებარეობის გამიჯვნა	127
12. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ადმინისტრაციულ და სამოქალაქო დავათა გამიჯვნის სამართლებრივი კრიტერიუმები	137
12.1. ადმინისტრაციული სახელშეკრულებო დავიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძვლები.....	149
12.2. დაცვის პოლიციის მიერ დაცვის თაობაზე კერძო პირებთან დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება.....	151
13. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.....	157
13.1. საჯარო რეესტრის საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავათა სამართლებრივი ბუნების დადგენა	169
13.2. აღიარებითი სარჩელი ადმინისტრაციულ და სამოქალაქო პროცესში.	180
14. დასკვნა	185
თავი III. მხარეები და მესამე პირები.....	187
1. მხარეები	187
1.1 მოსარჩელე	189
1.2 მოპასუხე	189
2. მხარეთა საპროცესო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა	191
3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები.....	192
4. საპროცესო თანამონაწილეობა.....	194
5. მესამე პირები.....	195
5.1 მესამე პირების სამართლებრივი დაცვა	197
5.2 საქმის ყოველმხრივი გამოკვლევა.....	198

5.3 პროცესის ეკონომიურობა	199
5.4 სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზანი	199
5.5 მესამე პირის სახეები	200
6. სასამართლოს მეგობარი	202
7. წარმომადგენელი ადმინისტრაციულ პროცესში	205
8. პროცესის სხვა მონაწილეები	208
თავი IV. სასამართლოს მკიცხვულებები.....	211
1. სასამართლო მკიცხვულებების ცნება და მკიცხვის სუბიექტები	212
2. მკიცხვის ტვირთი ადმინისტრაციულ პროცესში	214
3. მკიცხვი საგანი	216
თავი V. სარჩელის აღკვერა	218
1. სარჩელის ფორმა და შინაარსი	218
2. სარჩელების გაერთიანება, გამოყოფა, შეცვლა და დაზუსტება	220
3. გამარტივებული, დაჩქარებული სამართალწარმოება და სარჩელის ტრანსფორმაცია	221
3.1. გამარტივებული სამართალწარმოება	222
3.2. დაჩქარებული სამართალწარმოება	223
3.3. სარჩელის ტრანსფორმირება	225
თავი VI. ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში.....	228
1. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე	228
1.1. შესავალი	228
1.2. ბათილად ცნობისა და ძალადაკარგულად გამოცხადების ცნებების ტერმინოლოგიური პრობლემა	229
1.3. სარჩელის დასაშვებობა	231
1.3.1. ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმა	231
1.3.2. პირდაპირი და უშუალო ზიანი	236
1.3.3. გასაჩივრების ვადები	238
1.4. სარჩელის დასაბუთებულობა	242
1.4.1. კანონიერების შემოწმება	243
1.4.1.1 სამართლებრივი საფუძვლის კანონიერება	245
1.4.1.2 კანონის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობა	245
1.4.1.3 ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა	246

1.4.1.4 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება	247
1.4.1.5 განუსაზღვრელი ცნებები	248
1.4.1.6. შეფასების თავისუფალი სივრცე	249
1.4.1.7 დისკრეციული უფლებამოსილება	250
1.4.1.8. სუბსიმიციაში შეცდომის შემონმების მეთოდი.....	250
1.4.1.9. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გადამონმებისათვის მნიშვნელოვანი დრო.....	253
1.4.2. პირდაპირი და უშუალო ზიანი.....	254
1.5. სასამართლო გადანყვეტილება.....	254
2. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე	256
2.1. შესავალი	256
2.2. დავის საგანი, სარჩელის მიზანი	257
2.3. სარჩელის დასაშვებობა. საქმიანობის სამართლებრივი ფორმა	260
2.3.1. ადმინისტრაციული ორგანოს უარი. უარის კანონიერების შემონმება	261
2.3.2. ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის ვალდებულება	262
2.3.3. პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანი, სასარჩელო უფლებამოსილება	263
2.3.4. გასაჩივრების ვადები	264
2.4. დისკრეციული უფლებამოსილება	266
2.5. სარჩელის დასაბუთებულობის დადგენა	267
2.5.1. ზოგადი	267
2.5.2. აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნის კანონიერების შემონმება.....	269
2.5.3. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო	269
2.5.4. მოსარჩელის კანონიერი უფლება ან ინტერესი	270
2.6. სასამართლოს გადანყვეტილება ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელთან დაკავშირებით	274
2.7. ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალების შესახებ სარჩელთა სახეები	279
2.8. ფარგლები სარჩელთა სხვა სახეებთან	279
2.8.1. აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელთან ფარგლები.....	279
2.8.1.1. ნაწილობრივი მონესრიგების შესახებ სარჩელი	282
2.8.1.2. მესამე პირები	282

2.8.2. ფაქტობრივი მოქმედების განხორციელების დავალების შესახებ სარჩელთან ფარგლები	282
3. სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე	284
3.1. შესავალი.....	284
3.2. სარჩელის დასაშვებობა.....	285
3.2.1 საქმიანობის სამართლებრივი ფორმა	285
3.2.2 ადმინისტრაციული ორგანოს სარჩელი ქმედების განხორციელების მოთხოვნით	287
3.2.3 პირდაპირი და უშუალო ზიანი	289
3.2.4 სარჩელის ხანდაზმულობის ვადები.....	290
3.3. სარჩელის დასაბუთებულობა	290
3.3.1 კანონიერების შემოწმება	291
3.3.2 პირდაპირი და უშუალო ზიანი	292
3.4. სასამართლო გადანყვეტილება	293
4. აღიარებითი სარჩელი	293
4.1. შესავალი	293
4.2. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარების შესახებ	301
4.2.1. დავის საგანი	301
4.2.2. სარჩელის დასაშვებობა	302
4.2.3. სასარჩელო უფლებამოსილება. კანონიერი ინტერესი.....	303
4.2.4. ხანდაზმულობის ვადა	304
4.3. აღიარებითი სარჩელი სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ (ზოგადი სახის აღიარებითი სარჩელი).	306
4.3.1. დავის საგანი.....	306
4.3.2. სარჩელის დასაშვებობა	306
4.3.3. არსებული სამართლებრივი ურთიერთობა	307
4.3.4. სარჩელთა სხვა სახეებთან ფარგლები	310
4.3.5. კანონიერი ინტერესი.....	310
4.4. პრევენციული (წინასწარი დაცვის შესახებ) აღიარებითი სარჩელი, რომელიც მიმართულია მომავალში მოქმედებაზე პრევენციულ (წინასწარ) დაცვაზე	312
4.4.1. დასაშვებობა.....	312
4.4.2. სარჩელთა სხვა სახეებთან ფარგლები	313
4.4.3. კანონიერი ინტერესი.....	314
4.4.4. სასარჩელო უფლებამოსილება.....	314
4.5. განვრცობითი აღიარებითი სარჩელი	315
4.5.1. დასაშვებობა.....	315
4.5.2. კანონიერი ინტერესი.....	319

4.5.3.სასარჩელო უფლებამოსილება.....	321
4.5.4. ხანდაზმულობის ვადა.....	321
4.6. აღიარებითი სარჩელის დასაბუთებულობა	322
4.7. სასამართლოს გადაწყვეტილება	323
5. სახელშეკრულებო დავები	325
5.1 შესავალი	325
5.2 ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოხატული ნების სამართლებრივი ბუნება და ფორმა.....	327
5.2.1 სამართლებრივი ბუნება	327
5.2.2 ცალმხრივი ნების გამოვლენის სამართლებრივი ფორმა...329	
5.3 უფლების დაცვის საპროცესო სამართლებრივი საშუალებები	331
5.3.1 უფლების დაცვის რეპრესიული საშუალებები	331
5.3.2 უფლების დაცვის პრევენციული (დროებითი) საშუალებები	335
6. უფლების დაცვის დროებითი საშუალება	335
6.1.სასკ-ის 29-ე მუხლით განსზღვრული უფლების დაცვის საპროცესო-სამართლებრივი საშუალება	336
6.2.დროებითი განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ	339
თავი VII. აპელაცია და კასაცია ადმინისტრაციულ პროცესში.....	345
1. აპელაცია.....	345
1.1 შესავალი	345
1.2 სააპელაციო სამართალწარმოების თავისებურებანი ადმინისტრაციულ პროცესში.....	348
1.2.1.აპელაციის სახეები.....	350
1.2.2. ადმინისტრაციული სამართალწარმოება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში	352
2. კასაცია	361
2.1. საკასაციო საჩივრის დასაშვებობა. საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების პირობები (ფორმალური დასაშვებობა) ...	361
2.1.1.შესავალი.....	361
2.1.2.საკასაციო საჩივრის ობიექტი	366
2.1.3 საკასაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე სუბიექტები და მათი შემხებლობა დავის საგანთან.....	367
2.1.4. მესამე პირების შემხებლობა დავის საგანთან	370
2.1.5. საკასაციო საჩივრის შეტანის კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადა	371

2.2. საკასაციო საჩივრის შინაარსი.....	371
2.3. პროცესის ხარჯები.....	373
2.4. საკასაციო გასაჩივრებაზე წერილობითი უარის არარსებობა.....	375
2.5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლები.....	376
2.5.1 სამართლის განვითარება და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება	376
2.5.1.1. საქმის განსაკუთრებული მნიშვნელობა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის	379
2.5.1.2. სამართლებრივი საკითხების სასამართლოსათვის ქვემდებარეობა და საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა ...	384
2.5.1.3. სამართლებრივი საკითხების გარკვევის საჭიროება	385
2.5.1.3.1. საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია.....	387
2.5.1.3.2. საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება.....	389
2.5.2. დივერგენტული კასაცია. საქმის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხები	391
2.5.3. სამართანარმოების თავისებურება ისეთ საქმეებზე, რომლებიც განხილულია სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით.	396
2.5.3.1. საპროცესო ხარვეზის/დარღვევის ცნება.....	401
2.5.3.2. გამორიცხული საპროცესო ხარვეზი.....	403
2.5.3.3. მიზეზ-შედეგობრიობა	404
2.5.4. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ენინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.....	405
2.6. საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში	407
2.7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.....	413
3. საქმის გადაცემა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის	417

თავი I. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის ზოგადი დებულებები

1. ადმინისტრაციული პროცესის ცნება

ადმინისტრაციული პროცესი ესაა საქმის განმხილველი საერთო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით და შესაბამისი მატერიალური სამართლებრივი ნორმების შეფარდების/გამოყენების გზით იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული საქმეების განხილვა-გადაწყვეტა, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. პროცესი (მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან - *Procedere*) განიმარტება როგორც სასამართლოში საქმის სასამართლო განხილვის წესი - სამართალწარმოება. შესაბამისად, ადმინისტრაციული პროცესი გულისხმობს არა ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ განხორციელებულ ადმინისტრაციულ წარმოებას, არამედ, ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესებს - ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას. სხვაგვარად, ადმინისტრაციული პროცესი ესაა მატერიალური ნორმების რეალიზაციის საშუალება, თუმცა იგი ყოველთვის არ არის დაკავშირებული მატერიალური ნორმების შეფარდების პროცესთან, მაგალითად საქმის წარმოების შეწყვეტის გამო. ადმინისტრაციული სამართლის პროცესი და ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი ერთობლიობაში ქმნიან ადმინისტრაციული სამართლის მნიშვნელოვან ნაწილს.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს საერთო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესებს. ცნება - ადმინისტრაციული საქმე, ფართო მნიშვნელობისაა და მოიცავს როგორც კონკრეტული ადმინისტრაციულ სამართლებრივი ურთიერთობიდან, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მათ წინაშე მდგომი საჯარო სამართლებრივი ფუნქციების განხორციელებისას წარმოშობილ ადმინისტრაციულ დავებს, ასევე ადმინისტრაციულ საქმეებს, რომლებსაც არ აქვთ სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავის (პროცესუალურ

მხარეებს შორის კონფლიქტის) ხასიათი (მაგალითად, ადმინისტრაციული სამართალწარმოება მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებით), მაგრამ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობისა და ადმინისტრაციული კანონმდებლობის ცნებათა ლეგალურ დეფინიციას მოქმედი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის განმარტებისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს დადგენა. ადმინისტრაციული ორგანო შესაძლოა კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებშიც მონაწილეობდეს. ურთიერთობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად რომ მივიჩნიოთ, ამისათვის, საჭიროა სხვადასხვა კრიტერიუმების განხილვა. ეს შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს დადგენა, საჯარო საქმიანობის სფერო, საჯარო ამოცანები, საჯარო უფლებამოსილების განხორციელება, სტრუქტურა, დაფინანსების წყარო, თანამდებობის დაკავების წესი, საქმიანობის საჯარო-სამართლებრივი ფორმა, საჯარო სამსახურის განხორციელება, ადმინისტრაციული კანონმდებლობა და სხვ. იმისათვის, რომ გაირკვეს კანონმდებლობა არის თუ არა ადმინისტრაციული, ყურადღება უნდა მიექცეს სამართლებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელი ქცევის წესის/ნორმის ბუნებას - არის თუ არა ის ადმინისტრაციული. შესაბამისად, სამართლებრივი ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებს, ქმნიან ადმინისტრაციულ კანონმდებლობას.

ადმინისტრაციული წარმოება და ადმინისტრაციული სამართალწარმოება ორივე მიმართულია დაინტერესებული პირის განცხადების წარდგენის საფუძველზე საჯარო-სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტისკენ. ადმინისტრაციული საქმის განხილვა-გადაწყვეტა მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო ნორმების მეშვეობით არ ხდება. დაინტერესებულ პირსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის წინააღმდეგობა/კონფლიქტი/უკმაყოფილება ყოველთვის არ მიუთითებს მათი განხილვა-გადაწყვეტის მიზნით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის დებულებათა გამოყენებაზე. მაგალითად, უფლებამოსილ

ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი დაინტერესებული პირი ასევე იმედოვნებს მისი დარღვეული უფლების აღდგენას, მხოლოდ ამ შემთხვევაში საქმეს განიხილავს და გადაწყვეტილება გამოაქვს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შესაბამისად.

გასათვალისწინებელია, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას სასამართლო, ასევე იყენებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით ეს საკითხი მოწესრიგებული არ არის. შესაბამისად, ერთი და იგივე საკითხი თუ ორივე კოდექსითაა მოწესრიგებული, მოსამართლე იყენებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ნორმას.

სამართლებრივი დაცვის ფუნქცია ავალდებულებს ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ორგანოებს შეამოწმონ ადმინისტრაციულ ორგანოთა მმართველობითი ფუნქციების კანონთან შესაბამისობა. ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განმხილველი სასამართლო ადმინისტრაციული სარჩელის წარდგენის საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავების განხილვისა და მასზე გადაწყვეტილების გამოტანის გზით ახორციელებს ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობაზე სასამართლო კონტროლს. ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ განხორციელებული სასამართლო კონტროლი გარეგანი კონტროლის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. მისი მიზანია საჯარო-სამართლებრივი წესრიგის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. სასამართლო, ადმინისტრაციულ ორგანოთა წინააღმდეგ შეტანილი ადმინისტრაციული სარჩელების განხილვა-გადაწყვეტის გზით, ახდენს ადმინისტრაციულ ორგანოთა მმართველობითი ფუნქციების განხორციელების პროცესში წარმოშობილი/შექმნილი/განხორციელებული საქმიანობის სამართლებრივი ფორმების კანონიერების შემოწმებას და ამით, იმავდროულად, ახორციელებს ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობაზე სასამართლო კონტროლს.

2. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები

კონსტიტუციური სამართალი განსაზღვრავს იმ მიზნებსა და ძირითად პრინციპებს, რომლებსაც ეყრდნობა სამართლის სხვა დარგები და, მათ შორის, ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი. კონსტიტუციურ სამართალთან სხვადასხვა დარგების მჭიდრო კავშირი განსაკუთრებით საგულისხმოა საერთო სამართლის ქვეყნებისათვის, თუმცა მნიშვნელოვანია კონსტიტუციური (კონტინენტური) სამართლის მქონე სახელმწიფოებშიც.¹

სხვადასხვა დროს განსხვავებული იყო ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერთა შეფასებები ადმინისტრაციული სამართლის კონსტიტუციურ სამართალთან მიმართების თაობაზე. მაგალითად, XX საუკუნის დასაწყისში (1924წ.) თანამედროვე ადმინისტრაციული სამართლის ცნობილი მეცნიერი ოტო მაიერი, გერმანიის კონსტიტუციის გახშირებული ცვლილებების ფონზე აღნიშნავდა, რომ კონსტიტუციური სამართალი ცვალებადია, თუმცა, მიუხედავად ურთიერთკავშირისა, უცვლელია ადმინისტრაციული სამართალი. მოგვიანებით, ასევე გერმანელი მეცნიერი აჩტერბერგი აღნიშნავდა, რომ ადმინისტრაციული სამართლის ძირითადი ღირებულებები არის კონსტიტუციური სამართლის პრინციპები.²

დღესდღეობით თანამედროვე ადმინისტრაციულ სამართალში ხაზგასმით არის აღნიშნული კონსტიტუციური სამართლის საწყისებზე. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლისთვისაც კონსტიტუციური სამართალი არის მისი ძირითადი პრინციპული ხასიათის იდეების განმსაზღვრელი.

ასეთ პრინციპულ იდეებად თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ყველაზე უფრო ხშირად განიხილავენ სამართლებრივი სახელმწიფოს, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის პრინციპებს.

1 M. P. Singh, German Administrative Law in Common Law Perspective, Germany 2001. p. 10

2 M. P. Singh, German Administrative Law in Common Law Perspective, Germany 2001. p. 10

2.1. სამართლებრივი სახელმწიფო - კანონის უზენაესობა

საერთო სამართლის სისტემისთვის დამახასიათებელი მიდგომებისგან განსხვავებით, კონტინენტური სამართლის სისტემაში კანონის უზენაესობის, როგორც მატერიალურ, ასევე პროცესუალურ ასპექტებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და ორივე მათგანი მიიღება მხედველობაში. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს ძალაუფლება ეფუძნება კონსტიტუციური სამართლის უცვლელ და ძირითად ღირებულებებსა და პრინციპებს. ასეთ სისტემაში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან თავისუფლებების დაცვის შესაბამისი მოდელების შექმნა, არამედ უფლებების პრაქტიკული რეალიზაციის რეალური შესაძლებლობების არსებობა.³

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში განმტკიცებული ძირითადი უფლებები და თავისუფლებები მატერიალური ადმინისტრაციული სამართლის მხოლოდ ღირებულებებს უნდა წარმოადგენდეს, რომელზეც აიგება ადმინისტრაციული სამართლის დებულებები. მმართველობის განხორციელების პროცესში, ამ ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის შემთხვევაში, პირებს გააჩნიათ შესაძლებლობა მიმართონ სასამართლოს და მოითხოვონ საკუთარი უფლებების დაცვა. ეს მნიშვნელოვანი პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშანია და, ამ მხრივ, განმტკიცებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციაში, ასევე მოქმედ კანონმდებლობაშიც.

ამასთან, მეცნიერები აღნიშნავენ, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც მნიშვნელოვანი კონსტიტუციური პრინციპის გამოვლინება ხდება ადმინისტრაციული სამართლის სხვადასხვა პრინციპებში, მათ შორის კანონიერების პრინციპი, რომელიც თავის თავში მოიცავს კანონის უზენაესობისა და კანონისმიერი დათქმის პრინციპებს. განჭვრეტადობის, პროპორციულობის და თანაზომიერების პრინციპები, ასევე ამ ღირებულებათა გამოხატველია. სამართლებრივი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი თითოეული ამ პრინციპის გვერდით, განიხილე-

3 M. P. Singh, German Administrative Law in Common Law Perspective, Germany 2001. p.